

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

__26__06__2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს

2014 წლის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №11/105

სარჩევი

1	შემოკლებანი:.....	3
2	შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
3	აუდიტის მიზანი და მასშტაბი	5
4	საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	6
5	აპარატის ხარჯები	8
5.1	სპეციალიზირებულ სატრანსპორტო საშუალებათა საწვავის ხარჯები	8
5.2	შტატგარეშე მოსამსახურეები	9
6	სახელმწიფო შესყიდვები	9
6.1	გამარტივებული ელექტრონული ტენდერები.....	10
6.2	პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოების შესყიდვა	12
7	სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მდგომარეობა.....	14
8	აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	15

1 შემოკლებანი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო - სამმართველო;
2. სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ - სააგენტო.

2 შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

აპარატის ხარჯები:

- სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მფლობელობაში არსებულ 5 ერთეულ სპეციალიზირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოდგენილი საწვავის ხარჯვის დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ 34 684 ლიტრი საწვავის ჩამოწერა არ ხორციელდება ფაქტობრივად ნამუშევარი დროის მიხედვით.
- სამმართველოში 2014 წლის სხვადასხვა პერიოდში შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებულია 14 ხელშეკრულება და გაწეულია 32 143 ლარის ხარჯები. ამასთან ხელშეკრულებებში არ არის მითითებული დასაქმებულთა კონკრეტული ვალდებულებები და შესასრულებელ სამუშაოთა დასახელებები.

სახელმწიფო შესყიდვები:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ ორ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების გზით გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მიმწოდებლებისათვის განხორციელებულია წინასწარი ანგარიშსწორება, რაც შესაძლო პრეტენდენტთა შეზღუდვის გარემოებას წარმოადგენს, რითაც ხელი ემლება სახელმწიფო შესყიდვების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას;
- სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მიერ, ტყეების გაშენების მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად შპს „უნივერსალთან“ გაფორმებული 56 058 ლარის ღირებულების ხელშეკრულების პირობები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციას. ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გადაწევა განხორცილდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, ასევე მიმწოდებელზე არ არის დარიცხული პირგასამტეხლო 2803 ლარის ოდენობით;

- სააგენტოს მიერ 2014 წელს შესყიდულია 12 ჰექტარზე 4800 ძირი ნერგის დეზინფექციის და სასუქის შეტანის მომსახურება, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულია ერთ დღეში. სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით, მისი ერთ დღეში შესრულების რეალობა რისკის შემცველია;
- სააგენტოს 168 შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული აქვს გამარტივებული შესყიდვის ფორმით, რომლის საფუძველზეც გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფიქსირდება არაერთგვაროვანი მიდგომები. კერძოდ, უმეტეს ნაწილში არ არის გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები.

სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მდგომარეობა:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №476 განკარგულების შესაბამისად, სააგენტომ გააფორმა ხელშეკრულება შპს „AGA BATUMI“-თან მიწის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ, რომლის საფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების კომპენსაციის განხორციელების ღონისძიებებზე, რომელიც უნდა განხორციელდებოდეს გრაფიკის შესაბამისად, თუმცა მეწარმის მხრიდან ხდებოდა შეთანხმების დარღვევა, რაც საჭიროებდა სააგენტოს მხრიდან დროულ და სათანადო რეაგირებას.

რეკომენდაციები

- არსებულ სპეციალიზირებულ ტექნიკასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობის მიერ, დაზუსტებული იქნეს საწვავის საშუალო ხარჯვის ნორმები, შესაბამისი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც მოხდება საწვავის გაცემა სატყეო ადმინისტრაციებზე, ხოლო გამოყოფილი საწვავის ჩამოწერა განხორციელდეს ფაქტობრივად ნამუშევარი საათების მიხედვით;
- სამმართველოს მიერ შტატგარეშე მოსამსახურებთან ხელშეკრულების გაფორმებისას გაწერილი იქნეს დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები, რაც ასევე ხელს შეუწყობს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას;
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას ყურადღება მიექცეს ხელშეკრულების და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების ურთიერთშესაბამისობას;
- ხელშეკრულებებში ცვლილებები განხორციელდეს წერილობითი შეთანხმებით და ატვირთული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

- შემუშავებული იქნეს სათანადო კონტროლის მექანიზმები მიმწოდებლების მხრიდან ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, განხორციელდეს მათზე პირგასამტეხლოს დაკისრება;
- გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული ხელშეკრულებებისათვის დაწესდეს ერთგვაროვანი მიდგომები, მიმწოდებლების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გათვალისწინებასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში ცვლილებები განხორციელდეს სათანადო დასაბუთებით და იმგვარად, რომ იგი არ ზღუდავდეს სახელმწიფო შესყიდვების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

3 აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბას წარმოადგენს სამმართველოს 2014 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. აპარატის ხარჯები;
2. სახელმწიფო შესყიდვები;
3. სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მდგომარეობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამმართველოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. სამმართველოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სამმართველოს 2014 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

4 საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამმართველოს ძირითადი ამოცანები არის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა, ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება, წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების

რაციონალური გამოყენება, თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების შენარჩუნება და სხვ.

2014 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შედიოდა აპარატი და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“.

სამმართველოს 2014 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი, სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ პარამეტრების გათვალისწინებით, შეადგენს 11 176 385 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 10 762 100 ლარს, ანუ გეგმის 96.2%. დეტალური ინფორმაცია სამმართველოს ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოცემული ქვემოთ ცხრილი სახით:

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1. ხარჯები	10573585	10064237	9778416	9300123	-478294
1.1 შრომის ანაზღაურება	2448300	2448300	2448297	2449634	1337
1.2 საქონელი და მომსახურება	1051005	1041657	985503	1008764	23261
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0	0	0	241866	241866
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	5100	5100	1773	1773	0
1.8 სხვა ხარჯები	7069180	6569180	6342843	5598085	-744758
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	7069180	6569180	6342843	5598085	-744758
არაფინანსური აქტივების ზრდა					
არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	-	-
1. არაფინანსური აქტივები	602800	1102800	974338	-	-
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	400000	400000	315119	-	-
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	202800	702800	659219	-	-
ვალდებულებები კლება					
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	-	-
2. ვალდებულებები	0	9348	9346	-	-

სამმართველოს ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენს 176 211 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 81 224 ლარს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენს 1 699 604 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 36 937 ლარს.

5 აპარატის ხარჯები

5.1 სპეციალიზირებულ სატრანსპორტო საშუალებათა საწვავის ხარჯები

კრიტერიუმი: ხელმძღვანელობის მიერ სპეციალიზირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გაცემისა და ჩამოწერის წესი შესაბამისობაში უნდა იყოს რეალურ წვის ნორმასა და ფაქტობრივად ნამუშევარ დროსთან.

გამოვლენილი გარემოება: 2014 წელს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მფლობელობაში ქონდა 5 ერთეული სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალება, რომლებზეც გახარჯულია 34 684 ლიტრი საწვავი. საგზაო სამუშაოების განხორციელების მიზნით, სააგენტოს მიერ შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფის¹ მიერ ჩატარდა სავსე სამუშაოები ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს სატყეო ადმინისტრაციებში არსებული ბუღდოზერების წვის ნორმის დადგენის მიზნით, რომლის მიხედვითაც 1 მოტო საათში საშუალო წვის ხარჯი გამოვიდა 11.7 ლიტრი. გამომდინარე იქედან, რომ ბუღდოზერებს უწევდათ მუშაობა მაღალი წნევის არეში, არსებულ საწვავის ხარჯს დაემატა საქართველოს სახელმწიფო გზათა სამეცნიერო კვლევითი და საწარმო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქგზათმეცნიერება“ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და საგზაო სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისათვის თხევადი საწვავისა და საცხები მასალების ხარჯვის ნორმების საფუძველზე 10%, რომელიც გათვალისწინებულია მთიან რაიონებში მუშაობის დროს ზღვის დონიდან 1501-დან 2000 მეტრამდე, რაც მოცემული შემთხვევაში, რაიონების გათვალისწინებით შეუსაბამოა. საბოლოოდ მონიტორინგის ჯგუფის მიერ დადგენილ იქნა ბუღდოზერებისათვის წვის ნორმა 12.6 ლიტრი 1 მოტო საათში. წარმოდგენილი საწვავის ხარჯის დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ საწვავის ჩამოწერა ხორციელდებოდა არა ფაქტობრივად ნამუშევარი მოტო საათების მიხედვით, არამედ გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში დადგენილ ნორმაზე შეფარდებით. კერძოდ, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სპეციალიზირებული ტექნიკა თვეების მიხედვით ახორციელებს ერთიდაიმავე რაოდენობის მოტო საათების სამუშაოებს.

¹ ბრძანება N01-03/17 02.05.2014წ.

რეკომენდაცია

არსებულ სპეციალიზირებულ ტექნიკასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობის მიერ, დაზუსტებული იქნეს საწვავის საშუალო ხარჯვის ნორმა, შესაბამისი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც მოხდება საწვავის გაცემა სატყეო ადმინისტრაციებზე, ხოლო გამოყოფილი საწვავის ჩამოწერა განხორციელდეს ფაქტობრივად ნამუშევარი საათების მიხედვით.

5.2 შტატგარეშე მოსამსახურეები

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების არსებითი პირობაა შესასრულებელ სამუშაოთა სახე.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელშეკრულებები. სამმართველოში 2014 წელს დასაქმებულია 6 შტატგარეშე მოსამსახურე, რომლებთანაც სხვადასხვა პერიოდში გაფორმებულია 14 ხელშეკრულება და გაწეულია 32143,15 ლარის ხარჯი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული დასაქმებულთა კონკრეტული ვალდებულებები და შესასრულებელ სამუშაოთა დასახელებები, შესაბამისად შეუსრულებელია შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები.

რეკომენდაცია

- სამმართველოს მიერ შტატგარეშე მოსამსახურეებთან ხელშეკრულების გაფორმებისას გაწერილი იქნეს დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები, რაც ასევე ხელს შეუწყობს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას.

6 სახელმწიფო შესყიდვები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ 2014 წელს სულ განახორციელა 225 შესყიდვა, ხოლო სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტომ“ 193 შესყიდვა.

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის

უზრუნველყოფა, სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება². სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება უნდა დაიდოს სატენდერო შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და ატვირთული იქნეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

გამოვლენილი გარემოება:

6.1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერები

- სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მიერ, ტყეების გაშენების მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი³. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო ენერგეტიკული ტყის (სწრაფმოზარდი ვერხვის) გაშენება 123ა უტყეო თავისუფალ ფართობზე. უნდა მოხდეს აღნიშნული ფართობის გაწმენდა, მოხვნა, გაფხვიერება და შემოღობვა. მომსახურება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 15 აპრილის ჩათვლით და მიმდინარე წლის შემოდგომაზე 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, ნერგების სიცოცხლის უნარიანობის დაკარგვის (გახმოების) შემთხვევაში, შეივსოს იმავე სახეობისა და პარამეტრების მქონე ჯანსაღი ნერგებით. სატენდერო დოკუმენტაციით მიმწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო შესრულებული სამუშაოების ღირებულების 95%-ის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 5% ანაზღაურდებოდა 2014 წლის 30 ნოემბერს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. თუმცა მიმწოდებელთან შპს „უნივერსალთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში⁴ შეცვლილია ანგარიშსწორების წესი⁵, რომლის მიხედვითაც არ არის გათვალისწინებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 5%-ის ჩარიცხვა და ითვალისწინებს ძირითადი სამუშაოების შესრულებისას 100%-იან ანგარიშსწორებას. წარმოდგენილი შესრულების დოკუმენტაციით, 2014 წლის 25 მარტისათვის მიმწოდებელს შესრულებული აქვს 56 058 ლარის სამუშაოები, რაც სრულად იქნა ანაზღაურებული.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი 2014 წლის 12 ნოემბრის დათვალიერების აქტით დასტურდება, რომ 650 ნერგი გამხმარია და საჭიროებს ახალით ჩანაცვლებას. შპს „უნივერსალი“ 2014 წლი 2 დეკემბრის წერილით ითხოვს ნერგების ჩანაცვლების

² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2

³ SPA140003350

⁴ ხელშეკრულება №01-38/11, 2014 წლის 17 თებერვალი;

⁵ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 16¹ მუხლის პირველი პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 19-ე მუხლის პირველი პუნქტი;

ვალდებულების გადადებას 2015 წლის 1 მარტამდე, რის საფუძველადაც მიუთითებს, რომ მიმწოდებელთან კონსულტაციის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნევს ახალი ნერგების დარგვა განხორცილდეს ადრე გაზაფხულზე, რაც უფრო ეფექტური იქნება ნერგების გახარების თვალსაზრისით, რასაც დაეთანხმა შემსყიდველი. აღსანიშნავია, რომ ვალდებულების შესრულების ვადის გადატანა არ განხორციელებულა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით⁶, არ არის გაფორმებული შეთანხმება ცვლილებების შესახებ და შესაბამისად არ არის ატვირთული შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ასევე მიმწოდებელი, ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, ექვემდებარებოდა პირგასამტეხლოს დაკისრებას 2802.9 ლარის ოდენობით⁷, რაც არ განხორციელებულა;

- სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მიერ 12 ჰექტარზე 4800 მირ ვერხვის ნერგებზე ორჯერადად დეზინფექციის და ერთჯერადად აზოტ-ფოსფოროვანი სასუქის შეტანის მომსახურების მიზნით, გააფორმებულია ხელშეკრულება⁸ შპს „უნივერსალთან“, ღირებულებით 1192 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ აღნიშნული მომსახურების მიღება განხორციელდა ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღეს, რაც სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით ერთ დღეში შესრულების რეალობა რისკის შემცველია;
- სააგენტოს 168 შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული აქვს გამარტივებული შესყიდვის ფორმით, რომლის საფუძველზეც გაფორმებულ ხელშეკრულების უმეტეს ნაწილში, არ არის გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები. წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ ხდება იდენტიფიცირება, თუ რა შემთხვევაში არ ხდებოდა პირგასამტეხლოს განსაზღვრა ხელშეკრულებებში. აღნიშნულის გათვალისწინება ზრდის მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ასევე მის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო შესაძლოა ბიუჯეტისათვის გახდეს დამატებითი შემოსავლის წყარო. მაგალითად, სააგენტოსა და გიორგი თურმანიძეს შორის 2014 წლის 16 მაისს დადებული ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრული იყო 10 სამუშაო დღით, რომელიც შემდგომ შეიცვალა 20 სამუშაო დღით. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, სამუშაო შესრულდა 4 დღის დაგვიანებით, რაზეც სააგენტოს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეკისრებინა მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლო.

⁶ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 20-ე მუხლის პირველი პუნქტი;

⁷ 2802,9 ლარი;

⁸ ხელშეკრულება №01-38/71, 2014 წლის 4 ივნისი;

რეკომენდაცია

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას ყურადღება მიექცეს ხელშეკრულების და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების ურთიერთშესაბამისობას;
- ხელშეკრულებებში ცვლილებები განხორციელდეს წერილობითი შეთანხმებით და ატვირთული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- შემუშავებული იქნეს სათანადო კონტროლის მექანიზმები მიმწოდებლების მხრიდან ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, განხორციელდეს მათზე პირგასამტეხლოს დაკისრება;
- გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული ხელშეკრულებებისათვის დაწესდეს ერთგვაროვანი მიდგომები, მიმწოდებლების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

6.2 პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოების შესყიდვა

გამოვლენილი გარემოება:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით⁹, პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოების მიზნით გამოცხადებულ იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁰. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ინდ. მეწარმე „დავით სიჭინავა“. ხელშეკრულების¹¹ თანახმად, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შედგენდა 542 999 ლარს, შესასრულებელი სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო სამ ეტაპად (I ეტაპი - არანაკლებ მთლიანი სამუშაოების 30%, II ეტაპი - არანაკლებ 60% და III ეტაპი - 100%), რომელთა ვადის ათვლაც იწყებოდა ქვიშახრემის მოპოვების უფლების მიღებიდან, საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენებოდა. 2014 წლის 17 დეკემბრის წერილით ინდ. მეწარმე „დავით სიჭინავას“ წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ განკარგულება მიღებულ იქნა 3 დეკემბერს, გაგრძელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 3 მარტამდე და ასევე ითხოვს შესაბამის ცვლილებებს, რათა მოხდეს წინასწარი

⁹ აჭარის არ მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის განკარგულება №125

¹⁰ SPA140021239

¹¹ 26.09.2014 წლის ხელშეკრულება №130

ანგარიშსწორება. აღნიშნული წერილის საფუძველზე, იმავე დღეს ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილებები¹², რომლითაც შეიცვალა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ასევე განისაზღვრა წინასწარი გადახდის წესი, რის შემდეგაც განხორციელდა მიმწოდებელთან ანგარიშსწორება 100%-ით. ანალოგიური შემთხვევაა პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებაში¹³, სახელშეკრულებო ღირებულებით 5213 ლარი, სადაც ცვლილება¹⁴ განხორციელდა მიმწოდებლის წერილის¹⁵ საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, რადგან თანხები გათვალისწინებული იყო 2014 წლის ბიუჯეტში, ხოლო სამუშაოები გადადიოდა 2015 წელში, ითხოვს წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელებას.

შემსყიდველის მიერ სატენდერო განაცხადში 100% ავანსის მიღების შესაძლებლობის დაშვების შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე ან მონაწილეობის მსურველ კომპანიებს (100% ავანსის გაცემის შესაძლებლობა სხვა კომპანიებისთვის შესაძლოა გამხდარიყო ტენდერში მონაწილეობის მოტივატორი) შესაძლებლობა ექნებოდათ წარმოედგინათ უფრო ხელსაყრელი წინადადებები, ვინაიდან სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად წინასწარ გადახდილ თანხას უფრო მეტი ღირებულება აქვს. მაღალი კონკურენცია სახელმწიფო სახსრების განკარგვის მეტ რაციონალურ შესაძლებლობას შექმნიდა;

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და აჭარის ა/რ მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №24 განკარგულების საფუძველზე, სამმართველომ პლაჟის გასამაგრებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ხელშეკრულება დადო შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“, სახელშეკრულებო ღირებულებით 5 422 128 ლარი, რომელიც შემდგომ შეიცვალა და განისაზღვრა 5 758 318 ლარით. ხელშეკრულებაში განხორციელდა 6 ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ვადის და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებებთან. ასევე ორ შემთხვევაში შეიცვალა საავანსო ანგარიშსწორების წესი. კერძოდ, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ავანსის სახით თანხის გადახდას 50%-ის ოდენობით, რომლიდანაც 50% დაკავებული იქნებოდა მეორე ეტაპის სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების შემდგომ, ხოლო დარჩენილი კი მესამე ეტაპის დასრულების შემდგომ. ხოლო 2014 წლის 26 სექტემბრის №27/2 შეთანხმებით შესაძლებელი გახდა 100% თანხის ათვისება შესაბამისი უპირობო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც

¹² 17.12.2014 წლის შეთანხმება №130/2

¹³ 08.10.2014 წლის ხელშეკრულება №139

¹⁴ 17.12.2014 წლის ხელშეკრულება №139/1

¹⁵ 17.12.2014 წლის წერილი №01.21/920

დაკავებული იქნებოდა მესამე ეტაპის სამუშაოთა ფაქტობრივად შესრულების შემდგომ. 2014 წლის 22 დეკემბრის №27/5 შეთანხმებით კი დაემატა სამუშაოთა მეოთხე ეტაპი, რომლის ფაქტობრივად შესრულების შემდგომ მოხდებოდა დარჩენილი საავანსო თანხის დაკავება. აღსანიშნავია, რომ №27/2 შეთანხმების საფუძვლად მითითებულია მიმწოდებლის 2014 წლის 26 სექტემბრის №826 კორესპონდენცია, რომლითაც ის ითხოვს ავანსის სახით 820 550 ლარის ჩარიცხვას და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმოდგენილი აქვს ცვლილებების პროექტი. აღნიშნულის საფუძველზე ცვლილებების განხორციელება სამმართველოს მხრიდან არ არის სათანადოდ დასაბუთებული. სამუშაოთა შუალედურ შესრულებებზე წარმოდგენილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნები, ხოლო სობოლოვო მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2015 წელს.

რეკომენდაცია

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში ცვლილებები განხორციელდეს სათანადო დასაბუთებით და იმგვარად, რომ იგი არ ზღუდავდეს სახელმწიფო შესყიდვების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

7 სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მდგომარეობა

სააგენტოს 2014 წელს ხე-ტყის სოციალური ჭრებისათვის გამოყოფილი ქონდა 113 242 კუბ.მ ტყეკავი, მათ შორის I ხარისხის 12 144 კუბ.მ და II ხარისხის 101 098 კუბ.მ. აქედან 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებულია 77 981 კუბ.მ. სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის ინფრომაციით, 2014 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ტყის წესების დარღვევის სულ 258 შემთხვევა, სადაც აღრიცხულია 1894.79 კუბ.მ ხე-ტყის უკანონო ჭრები. აქედან I ხარისხის 942.89 კუბ.მ და II ხარისხის 951.9 კუბ.მ. სანიხრე ღირებულებამ შეადგინა 36 343.6 ლარი, ხოლო გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 216 008.3 ლარი. სააგენტოს მიერ 2014 წელს გაფორმებულია ორი ხელშეკრულება მიწის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ.

კრიტერიუმი: ტყითმოსარგებლის მხრიდან უნდა განხორციელდეს ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების კომპენსაციის ღონისძიებები შეთანხმებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო სააგენტომ უნდა განახორციელოს შესაბამისი და სათანადო კონტროლი.

გამოვლენილი გარემოება:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №476 განკარგულების შესაბამისად, სააგენტომ გააფორმა ხელშეკრულება¹⁶ შპს „AGA BATUMI“-თან მიწის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ, რომლის საფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების კომპენსაციის განხორციელების ღონისძიებებზე. ღონისძიებების პაკეტის მიხედვით, 0.65 ჰექტარზე უნდა მომხდარიყო მეჩხერი ტყის ფართობის შევსება და ბუნებრივი განახლება, რომელიც სამოქმედო გეგმით უნდა დაწყებულიყო 2014 წლის აგვისტოს თვიდან და დასრულებულიყო ნოემბერში - ნერგების გაშენებით, ხოლო მთლიანი საქმიანობის დასრულების დროდ განისაზღვრა 2017 წელი. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ მიუხედავად სააგენტოს 2014 წლის სექტემბრის შეხსენებისა¹⁷, შუახვევის სატყეო ადმინისტრაციის დირექტორის 2015 წლის 2 თებერვლის №08-07/22 წერილით დასტურდება, რომ შპს „AGA BATUMI“-ს არ განუხორციელებია გათვალისწინებული სამუშაოები. გამომდინარე აქედან, მეწარმის მხრიდან დაარღვეულ იქნა არსებული შეთანხმება.

რეკომენდაცია

- სააგენტომ განახორციელოს სისტემატიური კონტროლი ტყითმოსარგებლის მხრიდან ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების კომპენსაციის ღონისძიებები შესრულებაზე.

8 აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ირაკლი ანანიძე
უფროსი აუდიტორი

გურამ დუმბაძე
უფროსი აუდიტორი

 26.06.2015წ.
 26.06.2015წ.

¹⁶ 2014 წლის 25 მარტის ხელშეკრულება №02-01/1

¹⁷ სააგენტოს 2014 წლის 25 სექტემბრის წერილი №01-26/580